ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6476070

ნომერი: AR1966250

თარიღი : 15.05.2023

გაცემის თარიღი : 24.05.2023

გაცნობის თარიღი : 24.05.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მირიან მეფის ქუჩა, N 89;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 16 იანვრის №6286287 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 15 მაისს №AR1966250 განცხადებით მომართა ირაკლი მაზიაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 16 იანვრის

№6286287 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 16 იანვრის №6286287 ბრძანებით ქ. თბილისში, მირიან მეფის ქუჩა №89-ში მდებარე №01.10.08.005.102 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (შენობა №3) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2023 წლის 31 იანვრის №6306496 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 31 იანვრიდან 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2023 წლის 16 იანვრის №6286287 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ ±0.000 ნიშნულის გეგმაზე დაფიქსირებულ №7 კომერციულ ფართობზე არასწორად არის დატანილი წარწერა - „ხანძრის მართვის ცენტრი“, შესაბამისად ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას და ±0.000 ნიშნულის გეგმის ჩანაცვლებას.
სამსახურმა წარმოდგენილი ±0.000 ნიშნულის გეგმა შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ აღნიშნული ნიშნულის გეგმაზე “ბ'-ა'” ღერძებსა და “1-2” მონაკვეთში მდებარეობს №7 კომერციულ ფართობი (შტამპზე დაფიქსირებულია მისი დაკავებულობის ჯგუფი და შესაბამისი დატვირთვა), თუმცა მასზე არასწორად არის დატანილი წარწერა - „ხანძრის მართვის ცენტრი“. ამასთან, ამავე ნიშნულის გეგმაზე ავტოსადგომის ფართობზე (“ბ'-ა'” და „5-6“ მონაკვეთში) არასწორად არის დატანილი წარწერა - „საგენერატორე“.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 16 იანვრის №6286287 ბრძანებაში და ამავე ბრძანებით შეთანმებული ±0.000 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს (სამსახურის 2023 წლის 03 მაისის №6445453 ბრძანებით ჩანაცვლებული გეგმების გათვალისწინებით) წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმით.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 16 იანვრის №6286287 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 16 იანვრის №6286287 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.